საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ზაჰესში, სკოლის მიმდებარედ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის (ს/კ 72.12.03.481) საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა“.

ფიზიკური პირის ლაშა ჩაფიძის თხოვნით ჩვენს მიერ 2019 წლის იანვარში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ზაჰესში, სკოლის მიმდებარედ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.12.03.481) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ზაჰესში, სკოლის მიმდებარედ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.12.03.481) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ინდ. საწარმო „ზ. ტურაშვილი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2018 წლის ნოემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი ზ. ტურაშვილი. ლაბორატორიული სამუშაოები თიხური გრუნტების თვსიებების დასადგენად ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. რაც შეეხება კლდოვანი ქანების თვისებების გამოკვლევას, იგი ჩატარდა სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 4 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. კომპრესიისა და ჭრის გრაფიკები---------- 6 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 4 გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე, დასკვნით------ 2 გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 1 ფურც.
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი---------- 1 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, სარდაფით. შენობის ზომებია გეგმაში (14.0×26.0) მ. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 3 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 24 მეტრს (თითოეული 8 მ. სიგრძის). ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტების თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ტექნოგენური გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხა, მოყავისფრო ფერის;

ფენა 3 – ძირითადი ქანი, არგილითები, ძლიერ გამოფიტული;
ფენა 4 – ძირითადი ქანი, არგილითები, სუსტად გამოფიტული.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება. მოცემულია მათი ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები. მოედნის სულ ზედა ფენა წარმოდგენილი არის 3.0 მ. სიმძლავრის ტექნოგენური გრუნტით. იგი შენობის ფუძე-გრუნტებად არ გამოდგება და ამიტომ მათი თვისებები არ გამოკვლეულა. შემდეგი ფენა დელუვიურ-პროლუვიური წარმოშობის თიხებით არის წარმოდგენილი. მათი სიმძლავრე იცვლება 3.40-3.50 მ. ფარგლებში. ფენა ბუნებრივ პირობებში მშრალ მდგომარეობაშია, რამაც უზრუნველყო კიდევაც მათი შედარებით მაღალი სიმტკიცის მაჩვენებლები. მოედნის შემდეგი ფენა ძირითადი ქანებია - არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა. სიმტკიცის თვალსაზრისით გამოყოფილია ორი ფენა: ზედა ძლიერ გამოფიტული და ქვედა სუსტად გამოფიტული. ზედა ფენის სიმძლავრე 1.5-2.3 მეტრს შეადგენს. ქანების წოლის ელემენტებია: მიმართების აზიმუტი სამხ. დას. 240^0, ხოლო ქანების დახრის კუთხეა $20-25^0$.

ტერიტორია საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით მდგრადია და უარყოფითი საინჟინრო გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, კარსტი და სხვ) განვითარება არც მშენებლობისას და არც მომავალში არ არის მოსალოდნელი

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი დაფიქსირდა მიწის ზედაპირიდან 3.0 მ. სიღრმეზე. წყალი სუსტად აგრესიულია W_4 წყალშეუღწევადობის ბეტონის მარკის მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ზაჰესში, სკოლის მიმდებარედ, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.12.03.481) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

CV - ჭობონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭობონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ: სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტ გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულ ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფ „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავ სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობ გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობა დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და „საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“.
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით

Мгіг No 0072499

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии
Член-корр. Академии
Аттестационной Комиссии

Москва 1975г.

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

Присуждена ученая степень доктора
технических наук

Решением Высшей Аттестационной Комиссии
от 28 января 1975г. (протокол N 8)

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე
ჭოხონელიძეს
მასზე, რომ იგი 1961 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
აღნიშნული ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის 1972 წ.
30 ივნისის დადგენილებით
გ. ჭოხონელიძეს მიენიჭა
სამთო ინჟინერ-
ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.
სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის
თავმჯდომარე
ინსტიტუტის რექტორი
მდივანი

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი
სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский ...


საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა
პირადი № 01026010539
სახელი გეგა
გვარი ჭოხონელიძე
დაბადების თარიღი 16.02.1968 წ.
დაბადების ადგილი თბილისი
მოქალაქეობა ———
№ ღ 0266413
პირადი ხელმოწერა


მოქალაქეობა ———
მოწმობის გაცემის ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს
რაიონის შ.ს. მეორე პოლიციის განყოფილება
გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.
მოქმედების ვადა ———
ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა